საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გასვიანი გერონტი ალექსანდრეს ძე

გასვიანი გერონტი ალექსანდრეს ძე (15. VIII.1929, სოფ. ხალდე, მესტიის მუნიციპ,—31. X. 2012, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1939).

1953 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1996-იდან იყო აფხაზეთის რეგიონული აკად. ნამდვილი წევრი. იყო საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის მკვლევარი.

მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1973 გამოცემული მონოგრაფია „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“, რ-შიც განხილულია სვანეთის სოც.-ეკონ. და კულტ.-პოლ*იტ.* სტრუქტურის ისტ. პრობლემები.

გ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 6 მონოგრაფიის ავტორია.

თხზ.: დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979; დასავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან და პოლიტიკური ვითარება, თბ., 1981; ნარკვევები სვანეთის შუა საუკუნეების ისტორიიდან, თბ., 1991.